ნიანგი

21

1981

ISSN 0132—6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდმა რუსთაველმა რვა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბრძანა:

**„კაცო, ქალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი...
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი“.**

კარგი იქნებოდა, ყურად ვიღოთ ეს ბრძნული მოწოდება. მიებაქათ მისთვის ადამიანებს ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე დღეს, როცა, უკვე გამოჩნდა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის პარმაღი!

ლ. ი. ბრეჟნევი

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

საოქტომბრო სადღეგრძელო

საოქტომბრო სადღეგრძელოს ჩვენში ქვაც კი გიქადაგებს!
განზე გადგეს, ახლა ვინც ვერ იოქროპირ-იბადაგებს!
პირობა და საქმე შენი ერთხმად თუ არ აგვირგვინე, —
მაშინ პოსტსაც დაეხსენი და ხალხს ნუღარ აქირქილებ!
საზეიმო დიდ სუფრასთან ვიწვევ შრომის ნოვატორებს! —
მათთან გულით სიახლოვე გულიან ლექსს მომანდომებს!
თუ არ ხალხის რჩეულ გმირებს, ვის დაუჯდეს აბა, შაში?!
აკვნის ბავშვმაც კარგად იცის ის, რაც მოხდა აბაშაში!
საქმოსნებთან საქმე არ მაქვს! — სად — ისინი, სად — მგოსანი?!
საქმიანი კაცი — სხვაა, სხვაა — კაცი საქმოსანი!
საქმეს უყვარს საქმის მცოდნე, ვინც შრომის წესს კარგად იცავს!
სადღეგრძელოს, რა თქმა უნდა, საქმოსნებით არ წავბილწავ!
ვადღეგრძელებ მეჩაიეს ღვინით სავსე ჩაის ჭიქით! —
მისი შრომა — სასახელო — დიდებას და ჯილდოს იმკის!
ჩაი, ჩაი, ჩარირამა! გზა მიეცით ჩაის გმირებს! —
მათ რეკორდულ სასწაულებს ქვეყნად ბევრი გაიკვირვებს!
არ იქნება, რომ არ ითქვას! — უნდა მეთქვა, იქნებ, ადრეც! —
მათ ეკუთვნით ჩემი სიტყვა — ახალგაზრდა, შემტევ კადრებს!
ასეთ კადრებს უბატონოდ ხმის გაცემას ვინ აკადრებს?!
ჩვენზე იყოს ლექსები და, არ მოვაკლებთ კინოკადრებს!
ქართულ ფეხბურთს ვადღეგრძელებ, ქართულ ჩოგბურთს, ქართულ ჭადრაკს!..

ოსტატიც და დიდოსტატიც მოგვეახლნენ დასტურ ჭარბად!
არ დავზოგავთ ქების სიტყვას და არც ღვინო გვეზოგება!
იყოს ნაღდი სადღეგრძელო მეზვრეთა და მეჯოგეთა!
ვადღეგრძელებ ჩვენს მშენებლებს! — კი შრომობენ ჯეროვნებით!
მათი გარჯის ნაყოფია მშვენიერი შენობები!
ოღონდ ერთი ,სათხოვარიც (რა ვქნა, დღემდე ვეღარ მითქვამს):
ვით ფასადი ბრწყინავს გარეთ, „ბრწყინვალეა!“ — გვეთქვას შიგაც!
ვადღეგრძელებ ახალ სოფლებს: ჭერემს, წერაქვს და უდაბნოს!..
ვინც ეს ღვაწლი დასდო ჩვენს ხალხს, ღმერთმა შუბლი დაუდაფნოს!
ამ სტრიქონებს ჩემს გულს ვატან და თავს ვუხრი ყველა მუშას,
ვინც ქეჩოში ენგურს სწვდა და სულში შუქად შემოუშვა!..
ჩვენი ვაშა — მამაც მწყემსებს, რომ არა აქვთ შიში ავდრის!
კალმის წვერი რას არ შეძლებს, მაგრამ სხვაა ღვაწლი მათი!
თუ გსურს, ჩაწვდე მათ ცხოვრებას, შეითვისო შრომის ყადრი,
უნდა ოჯახს „გაეყარო“ წელიწადში ბარე ცხრა თვით!..
და საძოვრებს მიაშურო, სადაც თოვს და წვიმს და ჰყინავს!..
და არ დაგცდეს საყვედური, რომ შენ უკვე მოგეწყინა!
ჩვენ რომ სტუმრის ყადრი ვიცით, დასცემს ამის დასტურს ღმერთიც!
დაილოცოს საქართველო — მხარე საძმო-სასტუმრეთი!..
ქართველ კაცს თუ სტუმარი ჰყავს, — საზეიმო თარიღია! —
სახლის კარიც, მარნის კარიც, გულის კარიც არის ღია!
ეშხს იფერებს სირჩა უკვე, ტოლუმბაში — სიჩაუქეს!
მაშ, დავლოცოთ წინა კაცი, უკანა კაცს გზას რომ უკვლევს!
ვადღეგრძელოთ ფუძის მადლი და ღვთიური გარიგება:
საქართველო რაც დღეს არის, სამჯერ მეტი ხვალ იქნება!
მაგრამ, ზოგჯერ, თუ გვაქვს ბზარიც, ვინ დაუსხლტა ხალხის ნებას?! —
მუქთახორა რაც დღეს არის, სამჯერ მცირე ხვალ იქნება!
ვიღაცამ თქვა: თუკი ყველა გახდა ქვეყნის მშვენებაო,
და „საკბილო“ არ ექნება, — „ნიანგს“ რა ეშველებაო?!
ფიქრი ნუ გაქვს, მეგობარო, მოერიდე თითის კვნეტას! —
ოღონდ ენამ გიყივლოს და — გადავაქცევთ „ნიანგს“ „მტრედად“!
სანიმუშო რესპუბლიკას, — ყველა ორგულს სისხლს რომ უშრობს, —
სიტყვაც უნდა, საქმეც უნდა, რა თქმა უნდა, — სანიმუშო!
ვადღეგრძელებ!.. თუმც ცალ-ცალკე რომ დავლოცო ყველა გმირი,
რვა გვერდს მაინც დაიჭერს და რვა დღეს მაინც გასტანს ლხინი!..
შოთაც გვირჩევს — მოკლე თქმა სჯობს! მეც გულისთქმა მივუბი ლარს:
საქართველოს გაუმარჯოს — სამოცი წლის იუბილარს!

საქართველოს ლენინის ორდენოსანი კომკავშირი შეფობას უწევს რესპუბლიკის ხამას დამკვრელურ მშენებლობას.



ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— დაამატეთ კიდევ!..

ჯიუტი ადამიანები

იუმორესკა

არ ვიცი, რას მივაწერო, — ბედის უკუღმართობას თუ, პირიქით, წალმა ტრიალს, — ბავშვობიდანვე სულ ერთთავად ჯიუტი ადამიანების წრეში რომ მიხდება ტრიალი.

ბაბუაჩემი საარაკო სიკერპით ყოფილა სახელგანთქმული. ჯერ არასგზით არ სურდა თურმე კოლექტივში შესვლა, შემდეგ კი რის ვაივაგლახით დაიყოლიეს, დამსახურებულ პენსიაზე გასულიყო.

მაგონდება: მთელი ოჯახით ვესტუმრეთ ერთხელ ქალაქიდან. ბაბუა, საკოლმეურნეო ბრიგადასთან ერთად, სიმინდის მოსატეხად აპირებდა წასვლას. ბევრი ეხვეწა მამაჩემი, ერთი დღე გამოეშვა და, ჩვენი სტუმრობის აღსანიშნავად, შინ დარჩენილიყო, მაგრამ ბაბუამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამხანაგებს ვერ ვუღალატებო. ფუჩეჩით თავდაცობილი ღვინის დოქიანად მოკალათდა, თანასოფლელთა შორის, ძველი საბარგო ავტომანქანის ძარაზე და რახრახით გაუდგნენ გზას ანჯელისაკენ.

კერკეტი კაცი იყო. ადესა ღვინისა და არყის მეტ ნამალს არ ცნობდა და არც დაულევია. ქალაქში რომ გვეწვეოდა, პაპანაქება სიცხეშიაც კრაველის ბოხოხით, ხორხამდე შეკრული შალის ხალათითა და გაპრიალებული ჩექმებით დასეირნობდა. ვერაფრით ვერ ჩააცვეს „ლუქსის“ ტუფლები და „პარუსინის“ კიტელ-შარვალი. სიკვდილმაც კი ვერ გატეხა: სანამ სულს დალევდა, არაყი დაულევია და უკითხავს, ღვინო თუ გადაილეთო!..

რა გასაკვირია, მისი პირდაპირი შთამომავალი — მამაჩემიც რომ კერპი კაცი გამოსულიყო? სამსახურში უფრო-

სებს არ ეპუებოდა, არც ოჯახის წევრების მიმართ იყო დამთმობი. სასტიკად ამიკრძალა კრივის სექციაში მეცადინეობა — მემკვიდრის გალახვის უფლებას არავის მივცემო!

სიჯიუტეში არც დედაჩემი უდებდა ტოლს: აიჩემა, შვილს პიანინოზე დაკვრა უნდა ვასწავლოო და, მიუხედავად მუსიკის მასწავლებლის რჩევისა, — ბავშვს მონაცემები არა აქვს და ტყუილუბრალოდ ნუ ტანჯავთო, ჯიუტად მატარა რეპეტიტორთან მთელი ხუთი წლის განმავლობაში. ბოლოს, როცა დარწმუნდა, ჩემგან არც ლისტი გამოვიდოდა და არც მოცარტი, მოლბა და... ესპერანტოს კურსებზე მიმიყვანა!

მეუღლეც ჯიუტი ქალი შემახვედრა განგებამ. დაიჟინა: უპატიოსნო გამყიდველებს ჭკუა უნდა ვასწავლოო. ვურჩიე, არაფერი გამოგივა, მაგათთან ომი წყლის ნაყვაამეთქი, მაგრამ არ დაიშალა — ზამბარიანი ხელის სასწორი, ბეზმენი, შეიძინა და სულ თან დაჰქონდა. ქუჩაში გამართულ პავილიონებში ხილს ან ბოსტნეულს რომ იყიდდა, განზე გავიდოდა, ბეზმენით გააკონტროლებდა წონას და, თუ თაღლითობას აღმოაჩენდა, შავ დღეს აყრიდა დახლის ყაჩაღებს, მერე ალალივით ჩამოუქროლებდა მაღაზიებში მოკალათებულ თეთრხალათიან ვაჭრუკანებსა და ხელმრუდე მოლარეებს!.. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ისე დაზაფრა ყველანი, მის გამოჩენაზე მაღაზიები იკეტებოდა! ბოლოს და ბოლოს, ავდექი და, მეტროლოგიის ინსტიტუტში მოვაწყვე სამუშაოდ: ზომა-წონის უზუსტეს ხელსაწყოთა გარემოცვაში ძლივს ჰპოვა სულიერი სიმშვიდე.

შვილებიც კერპზე კერპები გამოგვივიდნენ: გოგონამ ჭადრაკის თამაში ისწავლა, მაგრამ წაგებას ვერ ურიგდებოდა და, რარიგ უიმედო პოზიციაც უნდა მიეღო, ჯიუტად განაგრძობდა ბრძოლას. საბოლოოდ იმდენს მიაღწია, მოსწავლეთა ნაკრებში ჩარიცხეს და, დედასთან ერთად, სპარტაკიადაზე გაგზავნეს. მე გაზეთებიდან შევიტყვე მათი წარმატების ამბავი.

ვაჟიშვილმა, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ცოლის მოყვანა გადაწყვიტა და, აღელვება რომ შემატყო, დამაშოშმინა: შენი შესანახავი არ ვიქნებით, ვიმუშავებთ და თან დაუსწრებელ განყოფილებაზე ვისწავლითო... დავყაბულდი. კვიცი გვარზე ხტის და, ვიცი, თავისას გაიტანდა. ახლა კარატეში დაიწყო ვარჯიში, ხულიგნებისაგან თავდასაცავ ხერხებს უნდა დავეუფლოო!

შინაურებს კიდევ გაუძლებდა კაცი, გარეშენიც რომ არ ჩამდგომოდნენ კრიჭაში: ისეთი უჯიათი უფროსი შემხვდა, ცამდე მართალიც რომ ვყოფილიყავი, წამხდარ საქმეში მაინც მე დამდებდა ბრალს, თავად არაფრით არ აღიარებდა საკუთარ შეცდომას. როცა მოხსნეს და მის ადგილზე მე დამანინაურეს, ახლა ხელქვეითებმა გამიჩინეს თავსატეხი: დაუდეგარი ახალგაზრდობა გვყავს: ჩვენსავით გულხელდაკრეფილი როდი ელიან დირექტივებს ზემოდან — თვითონვე სახავენ სამოქმედო გეგმებს, წლების მანძილზე წარმოებაში დამკვიდრებული მუშაობის სტილი არ მოსწონთ, გვაკრიტიკებენ, ათასნაირ სიახლეებს გვთავაზობენ და თან კბილებით იბრძვიან მათი ცხოვრებაში დანერგვისათვის. იოლი როდია ასეთი ახალგაზრდების ხელმძღვანელობა!

ამიტომაა, რომ სამოცდაოთხ წელს მიტანებულ, ოქტომბრის რევოლუციის თანატოლ კაცს ერთი წუთითაც არა მაქვს მოსვენება: დღე და ღამეს ვასწორებ, შეუპოვარი სიჯიუტით ვმუშაობ საკუთარ თავზე, ცხოვრების მდინარეობას რომ არ ჩამოვრჩე და წელგამართულმა ვიარო ახალგაზრდების მხარდამხარ!

გურამ შარაშიძე

ნახ. ბ. დეისაძისა

— ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ნედლეულის მომჭირნედ ხარჯვას. ხის მასალას ვზოგავთ და ამ დანაღგარების ტარას ვიყენებთ!..

ნახ. მ. აბაშიძისა

— აცივდა! აწი შეგიძლია, გამოიყენო გათბობასთან დაკავშირებული განცხადებები და საჩივრები!

ჩვენი სტუმარია 60 წლის ჭაბუა ამირეჯიბი

ნან. ჯ. ლოლუაძი



დათა თუთაშხია: — ქრთამი არ აიღოთ!.. გაგაფუჭებენ და ნაგახლეთ ის ქრთამი!..

სალ. ლობო ჭაბუა ამირეჯიბს

პირდაპირ გეტყვი, ჭაბუა, რომა,
დაფასდა შენი ღვაწლი და შრომა:
გაგიცნო მოსკოვ-დამასკო-რომმა,
სტოკჰოლმ-რიო-დე-ჟანეირომა!..

მალე გაგიცნობს მსოფლიო მთელი!—
განა სოფლები, ანდა დაბები?! —
რიგში დამდგარან — მელბურნი,
დელი,

ვენა, ტოკიო, ადის-აბება!..

ვარ მოტრფიალე შენი დათასი! —
ვერ შეედრება გმირი ათასი!
ავტორი ნიგნის ხარ ლეგენდფრის,
კაციც და მხეციც — არვინ გემდფრის!

ბევრი — თხუნელა, ბევრიც — მაჩვიკ,
ნყალნყალა ნიგნებს რომ შეგვაჩვიან!
ზოგის რომანი, ზოგის მოთხრობა,
არის მნერლობის ძირგამოთხრობა!

მათი მიზანი, სულისკვეთება —
არის თქვლეფა და ფულის კეთება!
შენ სხვა ბედთან ხარ შენაჭიდარი—
მოუსვიდეული, სულით მდიდარი!..

რად გინდა „ვოლგა“, „ნივა“,
„ვილისი“,
როცა ხარ მამა ექვსი შვილისა!..
ინყებ ცხოვრების ახალ ნახევარს,
არ იცი, რაა უკანდახევა!

შენ ვიიონი ფრანსუას ლექსის
ორი სტრიქონი უნდა თქვა მხოლოდ:
„დამნერია მე ნიგნი ესე,
ან ვიხსნი ყელზე დაკიდულ დოლაბს!“

მეგობრული შარჟი ბ. ფირცხალავასგან

ვერვინ გადმოსცეს კალმით და ენით
დოლაბიანი ნარსული შენი!..
დღეს სახელმნიფო პრემია გშენინს!—
დამდგარა შენი დიდების ჯერი!

შენზე რაც უნდა ჭორი შეთითხნონ, —
არ მიიკარონ გულთან! — ხვენნით გთხოვ!
იცოდეს ყველამ: შენი რომანი
რუსულ ენაზე თარგმნე შენ თვითონ!

მსოფლიო განახავს სერიაგ შვიდად!—
აღფრთოვანდება!—ოყავი მშვიდად!—
ია და ვარდი გეფინოს გზაზე!
ალალი ძმობის გვეგულვეი ხიდად!

ბევრი, თავს რომ თვლის შენს
სნორად, ტოლად,
არ ღირს მაგ შენი ჩიბუხის ბოლად!
ხარ ავსებული ზღვა სიყვარულით!..
და გყავს ბრნყინვალე პოეტი ცოლად!

შენით, ჭაბუა, — მსურს გითხრა ბოლოს, —
ცეცხლმოუდებლად ვინვი და ვბოლავ!
შენ გადღეგრძელეს — კაცობის
კოლოსს
და რაინდობის უმაღლეს სკოლას!

●

დამავინყდა და — მომკალ!
(სიკვდილსაც დავინყებიხარ!):
მოთა რომ იყოს ცოცხალი,
მოგცემდა თავის პრემიას!

შენი ნიანგი

— არაა ჩემი საძმე! არ ჩავერევი! პაპამანზე ვარ მე!

— დათა-ბატონო! თვითონ ჭაბუა ამირეჯიბზე რას გვეტყოდით?

— კი მეკეთოდა მე. კაცმა რომ თქვას, საიდან გაიგო ასე დაწერილებით ჩემი ამბავი-ძეობა, მაგრამ, როგორც შევიტყვე, მაგ ნათესავიც უნდა იუოს ჩემი, შორეული: მაგის ბებია დადინის ქალი ყოფილა, დადიები კი ახლობლები იყვნენ თუთაშხიების! სხვათა შორის, ეს მომეტი გაკორჩენილა წიგნში! კუდია ეს!

— გასაგებია, დათა-ბატონო, „დათა თუთაშხიაზე“ საუბარი რომ გეუბარხულებათ, ამიტომ ის მაინც მითხრათ იქნებ, ყველაზე უფრო რა მოგწონთ ჭაბუა ამირეჯიბის ნაწერებში?

— „გიორგა ზაქარიაძე“ მომწონს მე გამორჩეულად. თქვენც მოგეწონებოდათ, წაკითხული რომ გქონდეთ!

— კიდევ? კიდევ რა მოგწონთ ჭაბუა ამირეჯიბის?

— ექვსი შვილის მამა რომ ბრძანდება ბატონ ჭაბუა, ეს მომწონს მე განსაკუთრებით. ჩემი ამბავი გასაგები იქნებოდეს იქნება თქვენთვის: აბრაგი ვიყავი. საკუთარი ბუდე არ გამაჩნდა მე და გუგულო ხომ არ ვიყავი. სხვის ბუდეში მეღო კვერკეტები?! ახლა ბევრს წერენ ვაზის მეჩხერიანობაზე! კარგია ეს! მაგრამ ბავშვების მეჩხერიანობაზე ნაკლებადაა ლაპარაკი და არ ვარგა ასე! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ჭამოს ვიღაცამ ის ყურძენი?! მარტო ჩასაბარებლად ხომ არ მოგიყენთ? ასეა ეს! ერთი შვილი მყავდა და ამიტომ ბრაზვენია ჭაბუა ამირეჯიბის!. თანაც იმ ერთის აღსაზრდელადაც კი მოვიცალე! თუ მართალი გაბოდეა ეს მითქმა-მოთქმა და მართალ ცოცხალი ვაოუადეკი, არა ეს შვილების ყოლაში ჩამოვრჩები ნწარალ! ასეა ეს!

— დათა-ბატონო! ამას წინათ გაზეთ „იზვესტიის“ საკვირაო დამატება რომ არის, „ნედელია“, იმას ყკითხულობდი. სახელდობრ, 38-ე ნომრის. სხვათა შორის, ნამეტანი კაი საკითხავია, თქვენც გირჩევდით მის კითხვას. გამოვიწერდით კიდეც. მაგრამ მხოლოდ „სოიუზპრატის“ კიხერებში იყიდება ნაცნობობით. ტუეიბში კი „სოიუზპრატ“, მოგეხსენებათ, ჯიხურები ჯერ არ გაუხსნია. ოოდა, აი, რა წავიკითხე იმ „ნედელიაში“:

ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომის ენერგიის ინსტიტუტის თანამშრომელს, პროფესორ-ფიზიკოსს ი. სმოროდინსკის ეკითხებიან — რას კითხულობთ ამჟამად და იგი უპასუხებს: „საოცრად საინტერესო წიგნს — ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასო“! და რაკი სიტყვა ლიტერატურაზე ჩამოვარდა, ნება მიბოძეთ, ჩემი აზრი გამოვთქვა: „სიჭიროა იმაზე წერო, რაც კარგად იცი!“

არა, ბატონმა ჭაბუამ რომ ძალიან კარგად იცოდა ვისზე და რას წერდა, ეს მეც ძალიან კარგად ვიცი. მაგრამ ბირთვული ფიზიკის პროფესორსაც თუ ასე დაეინტერესებდა მეგრელი ამბავის ფათერაკებიანი ცხოვრება, ეს უკვე ეფიარ წარმომედგინა!

ხომ ვერ მეტყოდით, ვისი დამსახურებაა ეს — თქვენი, თუ ბატონ ჭაბუასი, ან იქნებ, არ ამხელთ და, „მამა-მარჩენალი“ სეთურის ხალხი ურანის მადნებს დაეძებდა მაწოსქვეშ!

დიდი ბალლობა მომიხსენებია მე ბატონ სმოროდინსკისათვის, ასე რომ მოუცლია ჩემი ამბების წასაკითხავად! ვიცი მე, დიდი მოუცლელი ხალხია ფიზიკოსები! ისიც ვიცი, ყველაფერ ამას ბატონ ჭაბუას რომ უდაა ვეუმადოოდ მე! თქვენ კი ერთს გკადრებთ: როგორ ფიქრობთ, გრაფი სეგედი -უნდედლოდ“ დამტოვებდა მე?!

მეორე ინგერვიუ

დათა თუთაშხიასთან

— ახლა ერთი უსერხული კითხვაც, დათა-ბატონო: მართლა თქვენმა შვილმა, ვუდუნამ, მოგაკლათ თქვენ?

— ჯერ ერთი, ხომ ვთქვი მე, ბოლომდე არაადეკვატი გარკვეული, ვარ თუ არა მკვდარი?! მეორეც, რატომ გგონიათ თქვენ, რომ მარტო ის შვილები არიან მამის მკვლელები, კეფაში ტყვიას რომ ესვრიან მშობელს?! სხვანაირიც ვიცი მე მშობლის მოკვლა: შვილი რომ კაცს მოკლავს, მშობლის მოკვლაა ეს, აბა რაა?! შვილი რომ ანაშას აპლაკენებს! მთელი დღე და მორფს იყეფს წინ და უკან, მშობლის მოკვლა მგონია მე ესეც! შვილი რომ სხვის ჯიბეში აფათურებს ხელს და სხვის მანქანას ატაცებს, ვითომ მშობელს არ კლავს?! შვილი რომ ხხვის შვილს მოიპარავს, თითქოს ცხენი იყოს, ისე, — თავის მშობელს არ კლავს ამით?! ბევრნაირად კლავენ უფიროსი შვილები მამებს, მარტო ნაგენთ არ ხდება მკვლელობა! საცა სამართალია, ყაბბეგს მაგნაირებზე უნდა დაეწერა „მამის მკვლელი“!

— მართლა იყო მუშნი ზარანდია თქვენი ნათესავი, თუ მწერალმა შეთხზა ეს თქვენი ნათესაობა?

— ჩემიანი იყო მუშნი! ნამდვილია ეს! მუშნისნაირი კაცები არ აწყენდა ჩვენს „ობეზეესებს“, ბაბუას აქვს ცხონება! არც ჩვენი რევიზორების უფროსად იქნებოდა ცუდი ზარანდია! მე ვენ ვეტყვი, ნარკოტიკებით მოვაჭრეებს პოეზა გაუჭირდებოდა! ვერ ვეთახმები მე ზოგიერთ კრიტიკოსს: არ იყო ცუდი კაცი მუშნი! მტერი რომ მტერია, ისიც კარგია, ჭკვიანი და პრინციპული კაცი თუა! ასეა ეს!

— დათა-ბატონო, შეხვედრია, დღეს ჭაბუა ამირეჯიბისაც შეუხვედეთ! რას დაგვაბარებდით მწერალთან?

— ჩემი სახელითაც მიულოცეთ სახელმწიფო პრემია და გადაეცით ბატონ ჭაბუას, მიხარია მე. ჭორი რომ დაირხა, „დათა თუთაშხია“ ამირეჯიბის დაწერილი არ ყოფილო! ეს ჭორი მოწმობს, რომ ვიღაც-ვიღაცებს ამირეჯიბის შურთ! შურზე კარგად კი ვერაფერი დაამტკიცებს წიგნის წარმატებას!

რამდენი მწერალი ვიცი მე, ერთი სული აქვთ, როდის დაბრალებენ, ეს! რომანი შენი დაწერილი არ არისო, მაგრამ კაცი ბოლოვილი არ იღებს ხმას და ქე არიან ამ ტანჯვაში!..

ესეც ჰკითხეთ ბატონ ჭაბუას: სტოკჰოლმს ბრძანებულა ამას წინათ, ბუღალტერ. ვიცი მე, ნობელის პრემიებს რომ ირიგებენ სტოკჰოლმში. ჰოდა, როგორია სამმე, ხომ არ გაძლევენ ნობელის პრემიას-თქო! თუ აძლევენ, მაშინ ისიც გამიგეთ, — მე, როგორც პერსონაჟს, მეკუთვნის ის ფულიდანაც რამე, თუ არა?! — მორდუხაის ყალი დღემდე გადაუხდელი მაქვს, მომეჭრა თავი! სხეიფრივ არ შევაწუხებ მე ამირეჯიბს! ის კი არადა, გეფუნა ამბარება წელს ჩემი, სამედიცინაზე. შვილია, რაც უნდა იყოს! დაიკინა ბეჭუნიმ, ვთხოვოთ აგერ ბატონ ჭაბუას, იქნებ ქართულში მაინც დაგვეხმაროსო, მაგრამ არ ვქენი მე! ასეა ეს!

— გიიგებდით, ალბათ, სამოცი წელი რომ შეუსრულდა ჭაბუა ამირეჯიბს!

— გავიგე მე მაგ და მეწყინა, სხვათა შორის! თქვენსტერს რომ ზდებოდეს, მიეულოცავდი! ახლა რა მივულოცო?! ისე, ერთი ყურში სათქმელი სათხოვარიც მაქვს ბატონ ჭაბუასთან, მაგრამ იმას, საიუბილეო ბანკეტს რომ გამართავს, იქ მივალ და იქ ვეტყვი (თუ რა თქმა უნდა, მუშნი არ დაპატიჟა!). ან კიდევ, ოთარ მეღვინეთუხუცესს დავბარებ!

— დიდი მადლობა! თუ ნებას დამრთავთ, კიდევ ეეწვევით საუბრისათვის!

— მობრძანდიით! აქ ვარ მე ხშირად! ერთოთახიანი ულოჯინ ბინა მაქვს აგერ, ტყეში! მომიკითხეთ ჩემი მწერალი და ჩემი მკითხველები! უკვე ვერეკი მე მაგათ საქმეში! ასეა ეს!

— ბოლოს, დათა-ბატონო, როგორც საქმეში ჩახედულმა, ისიც გვითხარით, რას შერება ამდენ ხანს ის კაცი, ვიდაცაა, არ მოაქვს ჭაბუასთვის მორიგი რომანი?! ან, იქნება, პირდაპირ ბინდის ენაზე დაწერილი მოაქვს?!

— მთქვამს მე და ასე იქნება ნამდვილად: მუშობს „ის კაცი“ და ეაცალოთ დამთავრება, ნუ ავაჩქარებთ! როცა იქნება, ისეე ბატონ ჭაბუას მიუტანს უსათუოდ. სხვას არაფის! ნამეტანი კარგად აქვს დაცდილი! ასეა ეს!

— გისმინოთ ღმერთმა! კარგად მენახეთ!..

— სულ კარგად!

დათა თუთაშხიას ესაუბრა ტია-ტია

ჩემი ცხოვრების პირველი ფურცელი

ავტობიოგრაფია

ᲯᲐᲑᲣᲐ ᲐᲜᲘᲠᲘᲫᲘᲡᲘ

დავბადებულვარ 1921, ანუ იმ წელს, ბებიაჩემ სოფიო მაღალაშვილის თქმით, „ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ“. ჩემი გაჩენის გამო უკმაყოფილება არასოდეს გამომთქვამს. ეს ხსენებული მანდილოსნის დამსახურებაა. თავის დროზე (ძალიან დროზე) მითხრა: ჩემი გაჩენის დღე და წელიწადი დაიქცესო! — ასეთი რამ არსად წამოგცდეს, თორემ, შეიძლება, გკითხონ, რას გულისხმობო!.. ეს იყო პირველი ქვა ჩემი მომავალი ურყევი ოპტიმიზმის საძირკველში. მეორე ქვა და, იქნება მეტიც, თვით ბებიაჩემის სასოებით აღსავსე ბუნება იყო. გარდაცვალებამდე სწამდა, რომ მამულებს დაუბრუნებენენ (24 დღიური სახნავი ტირიფონაზე, სახელდობრ, „ბერყენაზე“). ვის უნდა დაებრუნებინა, როცა ეს მინის ნაჭერი ჯერ კიდევ 1905 წელს ბიძაჩემმა და მამაჩემმა ერთობ პრიმიტიული ხერხით ჩამოართვეს საკუთარ მშობლებს: გლეხებს განუცხადეს, — მიწა იმის საკუთრებაა, ვინც ამუშავებს და დედაჩვენს ღალა აღარ მისცეთო! მაგრამ ქალბატონ სოფიოს მაინც სწამდა. ეგ არის, თავის იმედებს მხოლოდ ჩემთან აფრქვევნებდა და ისიც ჩურჩულით, რადგან მისი შვილების ძირითადი გასართობი მშობლების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებათა ანალიზი გახლდათ (ნანი ბრეგვაძე, იური სენკევიჩი და დათო ყიფიანი მაშინ ჯერ დაბადებულები არ იყვნენ). ცხადია, ბებიაჩემის ოპტიმიზმი გენეტიკური კოდით გადმომეცა და იმავე ხანებში რომ გავიგე, „რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბრნობდესო“, მერეც და დღემდე ყველანაირ ვითარებაში ყველაფრით კმაყოფილი ვარ და, საერთოდ, ჩემისთანა იღბლიან კაცს ამ პლანეტაზე მეორეს არ დაუდგამს ფეხი.

ჩემი შემდგომი მასწავლებლები იყვნენ ტედინკა ანშილევიჩი, ვისგანაც რუსული ვისწავლე, ტუზო, ჩოფკა და დოყლაშა — ამათგან სომხური და აზერბაიჯანული ენების საფუძვლებს დავეუფლე და მთავარი ის არის, რომ კოჭობანა ვისწავლე. ისე კარგად ვისწავლე, რომ მათ ამ თამაშისადმი ინტერესი სულ მალე დაკარგეს და აღმავალი ხაზით მიჰყვნენ უბნის ბიჭობას. ჩემმა მშობლებმა იმისთვის, რომ მეც იმავე მიმართულებით არ განმეგრძო მოღვაწეობა და იმ მიზეზითაც, რომ გამოსწორება მჭირდებოდა, შემდგომ მასწავლებელს გადამცეს.

მაშინ ამ პედაგოგიკურ აქტს „გაბარება“ ერქვა. გამაბარეს ნეტარხსენებულ ქალბატონ მელანია მეძმარიაშვილ-გველესიანთან. ამ მანდილოსანს, არც მეტი, არც ნაკლები, სორბონა ჰქონდა დამთავრებული, საკუთარი შვილები ეცოტავებოდა (თინა, გოგი, ლევან გველესიანები, მომავალში ცნობილი სწავლულები და საზოგადო მოღვაწეები), აღსაზრდელად სხვის შვილებსაც იყვანდა და, მოგეცათ სიკეთე, პატარა ნადირების ნორმალურ ბავშვებად გადაკეთება, დიახაც, ჩინებულად ეხერხებოდა. ორიოდე წლის შემდეგ ქალბატონმა მელანიამ ჩემს მშობლებს აცნობა, რომ ნადირმა ჩემში (დროებით მაინც) მიიძინა. ამ დროისთვის ვიცოდი „შვილის ნუკრის ნაამბობი“, პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიები, ჟიულ ვერნის შემოქმედების საგრძნობი ნანილი, ოთხი კლასის სრული პროგრამა და ჩუმად მქონდა წაკითხული კარგად ილუსტრირებული «Искусство любви». Перевод с французского. А. Ф. Маркс. Санкт-Петербург, 1883», რისთვისაც, ჯერ დოლს რომ არ მოხვედრია, იმდენი მომხვდა და მერეღა დაიწყო საფუძვლიანი გამოძიება, თუ საიდან ჩამივარდა ხელში ეს წიგნი. მეზობლის გადაყრილ წიგნებში მქონდა ნაპოვნი, მაგრამ ვერც ამაში გამომტეხეს.

ასეთი ზნეობრივ-ინტელექტუალური ხელბარგით რვა წლისა მიმიყვანეს მერვე შრომის სკოლაში. მახსოვს, დიდხანს მატარეს კლასიდან კლასში: ამ კლასისთვის მეტისმეტად განათლებულიაო, ამისთვის — ტანადიაო, იმისთვის — წლოვანებით პატარააო... ისე ჩანდა, ჩემი შესაფერი კლასი იმ სკოლაში ვერ უნდა გამოძებნილიყო და იმედი მომეცა, ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, იქნება, ამცდეს კიდეც-მეთქი, მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“!

იმავე ღმერთმა ინება, რომ სულ მოკლე ხანში კოჭობანას დონეზე ამეთვისებინა ლახტი, ოთურმა, მრგვალი ჯორი, გრძელი ვირი და პაჟარა... რა ეზოები გვქონდა სკოლებში მაშინდელ ბავშვებს! მიწა! სიცოცხლის მომნიჭებელი, ოხშივრიანი მიწა და არა ზამთრობით სლიპი და ზაფხულობით მდუღარე ასფალტი... მოდექი და იგორავე, ბიჭო! აქვე იყო, პატივცემულმა ივანე ხელაიამ ჩემი ცხოვრების პირველი მესამედის, ვინ იცის, უდიდესი გაკვეთილი რომ ჩაგვიტარა: დაფისკენ იყო მიბრუნებული, როცა ქეჩოში კარგა მაგარი მომხვდა. ვიყვირე, — მასწავლებელო, ფრიდონმა ჩამარტყა-მეთქი.

— მე აქ იმისთვის ვარ, — მოუბრუნებლივ თქვა ბატონმა ივანემ, — რომ თვითონ უნდა დავინახო. დამბეზღებლები არ მჭირდება. გადი კარში, მზეჭაბუკო!

რა მექნა. ამოვიძუე კუდი და გავედი. ბატონ ივანეს გაკვეთილზე მსგავსი აღარაფერი მომხდარა.

კუკიაზე გადავედით, ნინოშვილის ქუჩაზე, მაშინდელი ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონისა და სპორტდარბაზის სიახლოვეს. კარგი „ბირჟა“ იყო და მამაკაცური გამბედაობის სწორუპოვარი სკოლაც. სტადიონის ექვს-შვიდმეტრიან აგურის გალავანს ფეხბურთის დღეებში ცხენოსანი მილიცია იცავდა, რომ ღმერთი არ გამწყრალიყო და უბილეთოდ არ გვენახა იმ ხანებში ფოთიდან ჩამოყვანილი გრიშა გაგუას, გვაჩი ჯორბენაძისა და ბორია პაიჭაძის ვირტუოზული თამაში. აი, ვინც იმ კედელზე აძვრომისას, ქვემოდან ცხენოსანი მილიციელის მათრახს გაუძლებდა და უკვე ზემოთ ასული — ბორია ფანცულაიას კეტს, კაციც ის იყო და, აკი, შემდგომ ფეხბურთამდე ინდოურივით გაფხორილიც დადიოდა. პირადად მე ამ გზით სახელის მოხვეჭის სურვილს არასოდეს ვუცთუნებივარ, მარდი ვიყავი, ხშირად სულაც „სუფთად“ ამიღია კედელი, თამაშის პერიპეტიებით აღგზნებულ მაყურებელთა ბრბოში თავდაყირა გადავშვებულვარ და იქღა მომხვედრია ჩემი წილი მოსახვედრი. გამბედაობის შემუშავების მეორე ხერხიც არსებობდა — ბურთის მოტაცება. თუ რომელიმე გულუბრყვილო ფეხბურთელს მეტი მოუვიდოდა და ბურთი გალავანს გადმოსცდებოდა — მშვიდობით! მშვიდობით, ერთი გამონაკლისის გარდა. გამონაკლისს ქმნიდა ანტუსი. ეს არის გვარი კაცისა, რომელიც ერთდროულად იყო ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული კომბლექსის დარაჯი, მორიგე მილიციელი, მეკუჭნავე, ყველა სახეობის მსაჯი და გენერალური დირექტორი. ტანმორჩილი, ხმელი კაცი იყო და კარგი სირბილი იცოდა ცხენებულმა. თუ ვინმეს ბედი გაუღიმებდა და „ანტუსას“ წაუვიდოდა, ხომ იყო „მასტერსკი“ ბურთიანი კაცი და თუ ვერა... ზოგ ჩემ შვილთაგანს განზე გაფშეკილი ყურები რომ გამოჰყვა, ახლაც იმის შედეგი მგონია, რომ ანტუსმა თავის დროზე ჩემი ყურების მიმართ ზედმეტი ყურადღება გამოიჩინა. სიმართლე უნდა ითქვას, იმდენი მსხვერპლი ტყუილუბრალოდ არ გამიღია, „მასტერსკი“ ბურთის პატრონი ვიყავი და სწორედ ამ ბურთზე ააგო მამაჩემმა ერეკლემ ერთ-ერთი თავისი აღმზრდელობითი აქცია. ამხანაგი მომივიდა, უბანი უბანს ეჯიბრება, — ბურთი გვათხოვეო. მივეცი, მაგრამ ძალიან დაწვრილებით და გრძლად ველაპარაკე ყველა იმ მოსალოდნელ ხიფათ-ფათერაკზე, რომელთა წყალობით ბურთი შეიძლება აღარ დამბრუნებოდა. საწყალ ბიჭს ბურთი ხელში ეჭირა, ერთი სული ჰქონდა ,გაქცეულიყო და მე კი ჩემსას განვაგრძობდი. როგორც იქნა მოვეშვი, ბიჭი წავიდა და მამამ ბინაში შემიხმო.

— როცა ვინმე რამესა გთხოვს, ან გადაჭრით უთხარი — თავად მჭირდება, მაპატიე, ვერ მოგცემ-თქო და თუ აძლევ, გულღიად, მზადყოფნით მიეცი, თორემ სული თუ ამოჰხადე, რაღა მიცემაა, — ასე მირჩია.

ამ რჩევა-დარიგების მეორე ნაწილი ჩამრჩა მეხსიერებაში და ჩემი ოჯახის ზოგი წევრის სახრით, სწორედ ეს არის, რომ „გავუფაჯ“.

საკუთარ მშობლებს, ალბათ შენიშნეთ, უმუალო მასწავლებელთა რიცხვს არ ვაკუთვნებ. მათ ჩემთვის ვერასოდეს მოიცალეს, უკეთ ვთქვათ, ჩემთვის მოცლა არავინ აცალა, მაგრამ ზოგი რამ მათგან მაინც ვისწავლე. ჩვენი შეძლების კვალობაზე რანაირი მდარე სადილიც უნდა გვქონოდა, პურს ვერ გავტეხდი, სანამ რომელიმე გაჭირვებულ ამხანაგს ეზოში ან ვაშლს, ან პურის ნაჭერს, ან, ვთქვათ, ლავაშში გახვეულ ხორცს არ გავუტანდი. ახლა საძილე გარნიტურებსა და ბროლის ჭაღებზე რომ არის ხალხი გაცოფებული, მაშინ ზოგისთვის სიზმრების ტიპიური სიუჟეტი პურის დიდი ნაჭერი და ადელხანოვის „ჩუსტი“ იყო.

1934 წლამდე ჩემი განათლება იმ სკოლაში ხორციელდებოდა, შემდგომში საფეხბურთო სკოლად რომ გადაკეთდა. მაშინ ორმოცდამეექვსე ერქვა. ბატონი ფილიპე რურუა, ქართულის მასწავლებელი, დადებით ნიშანს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაწერდა თუ შინაარსს შენი სიტყვებით იტყოდი. სერგო ხითაროვმა „კაცია ადამიანის?!“ შინაარსი დაახლოებით ასე მოხაზა: „მამაჩემი ვატმანია, დედაჩემი — მოლარე. დღე და ღამე საქმეს აკეთებენ... აი, კიდევ, ვაჟია, ელისოს ისემე. როგორი ვინმეა! ლუარსაბი და დარეჯანი კიდევ, დამდგარან და ბუზებსა სთვლიან. მაშ ეს საქმეა?“ და ა. შ. სამიანი მიიღო სერგო ხითაროვმა.

ამავე სკოლაში მენვია პირველი სიყვარული. ჩაფსკვნილ-ჩამრგვალებული გოგონა იყო, მეშვიდე კლასშივე გათხოვდა. ოხრად დამრჩა სატრფიალო ლირიკითა და სანტიმენტალური პროზით სავსე რვეული. არა, სიყვარული რას არ გაგაბედვინებს!.. ამასთან დაკავშირებით უნდა გაცნობოთ, რომ ჩემი მატერიალური კეთილდღეობის ძირითადი წყარო კოჭობანა იყო. კოჭი, კაკალი თითო შაური ღირდა. დღე ყოფილა, ასი კოჭი მომიგია — ხუთი მანეთი! მზესუმზირის, ნაყინისა და კინოს ფული მთელი ბავშვობის მანძილზე არ გამომლევია. სახელი მქონდა გავარდნილი, ჩემთან სათამამოდ სხვა უბნებიდან მოდიოდნენ. უმრავლეს შემთხვევაში ვიმარჯვებდი, რისთვისაც, ვსარგებლობ შემთხვევით და უღრმეს მადლობას ვუხდი სოლოლაკის ღირსეულ კვირიტებს — ტუზოს, ჩოფკასა და დოყლაშას იმისთვის, რომ ამ ინტელექტუალური თამაშის საფუძვლებს ბავშვობაშივე მაზიარეს. მაგრამ ყოველნაირ ნათელს, მოგეხსენებათ, თავისი ბნელი ახლავს. ეს „ბნელი“ იყო არჩილა ღაღანიძე. დაბრიყვებული ვყავდი. მოვიდოდა იქ, სადაც ვთამაშობდი... რანაირად მპოულობდა? აი უკვე მოვიციბერე, თამაში ისე ავანყე, რომ დასმა თვრამეტ კოჭამდე გიბარდა. ათიოდე წამი — ლან!... უბეში უნდა ჩავიჩხრიალო იმოდენა ქონება... დასწვდებოდა არჩილა ღაღანიძე იმ ორ მანეთად ღირებულ დასმას, გაიტენიდა ჯიბეებს, ყოველი შემთხვევისთვის პანღურსაც მითავაზებდა და ხაზგასმული სიმშვიდით დატოვებდა იქაურობას. რატომღაც ვერაფერს ვეუბნებოდი და ეს აღმაშფოთებელი ძარცვა ბარე ორ წელს გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არჩილა ღაღანიძეზე ღონიერიც ვიყავი და უარესი ჩხუბისთვიც. ერთხელ არჩილა სულთამხუთავმა სწორედ იმ დროს ნაიღო ჩემი კოჭების მოზრდილი დასმა და პანღურიც მაშინ ამომკრა, როცა ჩემმა გულის ვარდმა ჩამოიარა... ამის შემდეგ არჩილა ღაღანიძის პრობლემა სამუდამოდ მოიხსნა. რას არ გაგაბედვინებს სიყვარული!

უსამართლობისა და ძალმომრეობის მიმართ დამოკიდებულება საბოლოოდ მეორე შემთხვევამ ჩამომიყალიბა. ახლა მაინცდამაინც ვეღარ ვხედავ, უნინ უფრო მისდევდა ხალხი სხვადასხვანაირი ნაყენების (ვიშნოვკების) კეთებას. ჩაყრიდნენ ბოთლში, ვთქვათ, ალუბალსა და შაქარს და მზეზე ჩამოჰკიდებდნენ. ასეთი ბოთლები ჩვენი ქუჩის ზემო სარეულების კედელზე მრავლად ეკიდა. ასფალტზე ჩიკორს ვაბზრიალებდი, რომ ცხვირ-პირში მაგარი მომხვდა. მამაკაცის მუშტი იყო. უგრძნობლად დავეცი. როცა გონს მოვედგე, გავიგე, რომ ვიშნოვკის მოპარვას მაბრალებდნენ. ღმერთი და სჯული — არ მომიპარავს. გასიებული და შემდეგ დალურჯებული ცხვირ-პირი ჯანდაბას — უკიდურესად შეურაცხყოფილი ვიყავი. არ ვაპატიე. ამ დაუმსახურებელი ეგზეკუციის მერე, რა ნაყენებს ის ოჯახი დაიყენებდა, თქვენ თავად განსაჯეთ. ბოთლების მსხვრევას თავი დავანებოთ, ორი თუ სამი კვირის მანძილზე დღეგ მეორე მოჰყავდათ მეშუშე დეზერტირის ბაზრიდან!

განსწავლის ამ ეტაპზე იყო, ძალიან მაგრად რომ ავურე. რამდენიმე სკოლიდან გამრიცხეს. მამაჩემმა გადაწყვიტა ტექნიკუმში შეეყვანე და ეს გულისნადები აისრულა კიდეც.

აკი მოგახსენეთ, იღბლიანი ვარ-მეთქი — ტექნი-

კუმის სასწავლო ნაწილის გამგედ ბატონი ივანე ხელაია დამხვდა. ერთი საკვირველი თვისება ჰქონდა ამ ყველა დიდი ღირსებით შემკულ ადამიანს: ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ას სტროფს მამაო ჩვენოსავით ვერ ჩააბულბულებდა, დანარჩენი ქართული ლიტერატურისა, თუნდ გერონტი ქიქოძისთანა მცოდნე ყოფილიყო, ხუთიანს ვერ მიიღებდა. ოთხიანი ოთხმოც სტროფად ღირდა. სამიანისთვის ოცი საკმარისი გახლდათ. თვით ტექნიკუმსაც ჰქონდა ერთი საოცარი თავისებურება — გასამხედროებული იყო. სამ კვირას ტექნიკუმის პროგრამას რომ გავდიოდით, მერე ორ კვირას კამოს ქუჩაზე სამხედრო-სამეკავშირეო საქმეს ვეუფლებოდით. დადგებოდა ზაფხული და, აბა, ბიჭებო, სამხედრო ბანაკებს გაუმარჯოს — ორ-ორი თვე, ორი წლის მანძილზე. ზოგი რამ იმ ცხოვრებიდანაც დამახსომდა. იქაურ სიცხე-პაპანაქებაში წყალი ისე მოდიოდა, როგორც ამჟამად ჩემს ბინაში — დღეღამეში ნახევარ საათს და სწორედ მაშინ, როცა ჩვენ საველე მეცადინეობებზე ვბრძანდებოდით. მეორე ისა, ხაკისფერი ფორმა ტანზევე შემშრალი ოფლისგან მთლად თეთრი გვქონდა. მერე კიდევ ისა, რომ ორი წლისთავზე სამხედრო ფიცი, მომავალში გამოჩენილი მხედართმთავრის, კონსტანტინე ლესელიძის წინაშე დავდეთ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭებს თადარიგის მესამე რანგის სამხედრო რადიოტექნიკოსების წოდება და სამხედრო ბილეთებში პირველი რიგის სამობილიზაციო ტალონი ეჭვანივით შეგვება. დასასრულ კიდევ ისა, რომ ჩვენს გვერდით დისლოცირებულ სასანგრო ათასეულს, რატომღაც, გამუდმებით ერთი და იგივე მორიგე ჰყავდა — ბორჩალოელი ჰუსეინოვი, რომელიც დილით იძახდა: სასანგრო ათასეულში გაუღუზოოოს! საღამოთი — დაუზუნოოოს! მჭახე, გამყივანი ხმა ჰქონდა, მთელ ლეგიონს ესმოდა და სულ იმას ვფიქრობდი, სხვა ათასეულებში მორიგეები რაღა საჭირონი არიან-მეთქი.

პირველ სანარმოო პრაქტიკაზე გამგზავრებისას, სადგურზე მამამ ხუთასი მანეთი მომცა და ყურში ჩამჩურჩულა — მეძავს არ აკოცოო. მას შემდეგ მამა აღარ მინახავს, მაგრამ მისი ეს რჩევა სამუდამოდ განვიზოგადე.

ჩვენს ტექნიკუმში, ძირითადად, რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდობა სწავლობდა. სტიპენდიები გვქონდა. ეგ არის, სამოცდაექვსი მანეთი ვის რაში გასნვდებოდა. თუ იმდროინდელ საარქივო მასალებს შევისწავლით, დავინახავთ, რომ თბილისის ღამის დარაჯებისა და დეპეშების დამტარებელთა შტატები უმთავრესად ჩემი თანაკურსელებით იყო დაკომპლექტებული, რაიც საგრძნობ დამატებითს შემოსავალს იძლეოდა. მე, იმხელა აყლაყუდას, მივიწყებულიც რომ არ მქონოდა, კოჭობანაში ვიღა შემომყვებოდა, ფული კი ყოველთვის საჭიროა და როცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბატონმა ლევან ფალავანდიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელობა და ამის გასამრჯელოდ ათას ორასი მანეთი შემომთავაზა, უარი არ მითქვამს. გავითვალისწინოთ, რომ მაშინდელ რაიკომის მდივანს, თითქმის, ასეთივე ჯამაგირი ჰქონდა.

სადიპლომო ნაშრომის კეთება რომ დავიწყე, იმ ერთი ფრანგი მწერალივით ვიყავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ᲕᲬᲔᲠᲓᲘ ცუდ ნოველებსა და ნოველებზე უარეს ლექსებს, ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ულამაზესი კალათბურთელი გოგონა, ᲕᲘᲪᲝᲕᲠᲝᲒᲓᲘ ჩიტივით, აფრენაზე, მაგრამ იმ მწერლის წინაშე უპირატესობაც მქონდა, ერთდროულად ორ დიპლომს ვაკეთებდი — ჩემსას და მეგობრისას, რომელიც ამ დროს ჩემი სატრფოს წრეში მხიარულობდა და ცდილობდა როგორმე დაესაკუთრებინა ჩემი კუთვნილი გული. ვიცოდი და სადიპლომო ნაშრომი მაინც ბოლომდე გავუკეთე. სწორედ ამიტომ დამრჩა ის მშვენიერი გული მე და არა ჩემს მეგობარს. ხსენებული ფრანგის ბიოგრაფიებში ასეთი არაფერი შემხვედრია.

ასე, ოცდაათიოდე წლის წინათ ერთი კაცი გავიცანი, გვარად ᲞᲣ Ⲓ, ხელობით იმპერატორი, რა თქმა უნდა, ყოფილი. ეს საშტატო ერთეული მას მანჯოუ-გოში, ანუ მანჯურიაში იაპონელებმა გამოუკვარახჭინეს. კარგი სარეცხი იცოდა, დალოცვილმა, და იქაური მაზანდის მიხედვითაც კი იაფი. ათიოდე წლის წინათ მოსკოვში შევიძინე წიგნი: „ᲞᲣ Ⲓ. ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი“. ცხოვრების მეორე ნახევრის აღნუსხვა, არ ვიცი, თავად ექს-იმპერატორმა ითაკილა თუ გამომცემლობამ „არ ქნა“. მაგრამ მე თვით ხერხი დამიჯდა ჭკუაში და ამიტომ მოგაწოდეთ, საყვარელო რედაქციავ, „ჩემი ცხოვრების პირველი მესამედი“, მესამე მესამედს 70-ე წლისთავზე გამოვაქვეყნებ, ხოლო მეორე მესამედს მე-80 წლისთავისთვის მიგაპირებთ, იმ იმედით, რომ ცას ვერ გამოვეკერები და მანამდე წავალ ᲞᲣ Ⲓ-ს მოსანახულებლად.

კარგად ბრძანდებოდეთ!

ნახ. Ი. ᲥᲔᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

ᲡᲮᲐᲠᲢᲣᲚᲔᲑᲘ

შევასწორებ მეცნიერთა ცნობილ მცნებას, —
გულზე მაწევს რაკი დარდად, —
„ბუნებაში არაფერი იკარგება“,
უვარგისი კაცის გარდა!

●

ქათმის კვერცხიდან ორბის ბარტყი არ იჩიტება!
ბუზის ბუდ ყოფნა რა სანდომია?!
იმ სკამზე ჯდომას, ეკალივით რომ იჩხვლიტება,
ნამდვილ ეკალზე ჯდომა სჯობია!

●

ცირკში, მრავალგზის, ცხოველების ვნახე გამოცდა,
გარეთაც ბევრი საგულისხმო შემხვდა არენა:
ზოგი პირუტყვი ადამიანს ბაძავს საოცრად,
ზოგი კაცი კი პირუტყვს ბაძავს გადასარევად!

●

ფეხებმა რაც გინდ გვაამოს, ფასი თავისა დიდია:
ვინც თავს ფეხებით ატარებს,—თავი ფეხებზე ჰკიდია!

●

ამ დასკვნამდე დაკვირვებამ მიმიყვანა,
ასე მხნედ და შეუპოვრად მიტომ ვბედავ, —
ზოგჯერ ვხედავ ადამიანს იმისთანას,
ვისშიც ნამდვილ ადამიანს ვერა ვხედავ!

●

როგორც ლოთს ღვინო, ისე ლოთი ღვინოს აფუჭებს!—
ამ პირველ სტრიქონს კიდევ უფრო გავაძლიერებ:
თავი ლოთისა საოცრად ჰგავს ღვინის იმ ჭურჭელს,
რომელსაც იგი გულმოდგინედ აცარიელებს!

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“
№ 21 (1607) ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1923 �წწ. ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

●

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ
ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
ᲭᲐᲒᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ,
ᲜᲝᲛᲐᲓᲔ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ,
ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐ,
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ,
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲕᲐᲠᲐᲫᲔ,
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲝᲚᲣᲐ,
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ
(მხატვარი-რედაქტორი),
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐ,

ᲒᲔᲥᲐᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ
(პასუხისმგებელი მდივანი),

ᲒᲘᲒᲚᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ,
ᲯᲐᲜᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ,
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲘᲕᲧᲘᲕᲐᲫᲔ,
ᲕᲐᲟᲐ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(მთავარი რედ. მოადგილე),
ᲜᲐᲤᲘ ᲯᲣᲡᲝᲘᲗᲘ.

●

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲣᲖᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

●

ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ
23. 10. 81 �წწ.
ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ
20. 11. 81 �წწ.
ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ 70×108 1/8
ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ 1
ᲡᲐᲐᲠᲘᲪᲮᲕᲝ-ᲡᲐᲑᲭᲝᲛᲝᲪᲔᲛᲚᲝ
ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 2672 უე 15081
ტირაჟი 150.950.
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
ᲗᲕᲔᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞᲘᲙᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 76137

7-81

81-777

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ქართველი მხატვარი-კარიკატურისტი **გივი ლომიძე** „ნიანგის“ შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც მან ნაყოფიერად იმუშავა — მისი პოლიტიკური კარიკატურები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ **„პრავდაში“**, ჟურნალ **„კროკოდილში“**, ექსპონირებული იყო მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში.

მხატვრის ნამუშევრები საზღვარგარეთ გასავრცელებლად შეიძინა ახალი ამბების სააგენტომ და სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ.

ქვემოთ „ნიანგის“ მკითხველებს ვთავაზობთ გაზეთ „პრავდისა“ და ჟურნალ „კროკოდილის“ ფურცლებზე დაბეჭდილ რამდენიმე ნამუშევარს.

ამერიკის სამხედრო ბიუჯეტის გაშვება

„კროკოდილი“

ისრაელი, მემარჯვენე ქრისტიან სამხედრო ნაწილებთან ერთად, ცდილობს ლიბანის გაკვეთას.

გაზეთებიდან

აგრესორის მოქნეული მარჯვენა!..

„პრავდა“



ძია სემის ქოხი

„კროკოდილიდან“ გადაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალ „უორლდ პრეს რევიუში“

ნახევრად სავსედან — სავსეში!..

„კროკოდილი“

წველიან „ტრაიდენტისათვის“

„კროკოდილი“.

გამალებული შეიარაღებისათვის ამერიკის ადმინისტრაციამ მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დოტაცია.

777
81
11/XII